შპს ბაგა ბავი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება N 10-01 დამტკიცებულია “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. აღნიშნული წესში დაწესებულებას გაწერილი აქვს სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შეფასების და მონიტორინგის განხორციელების ვადები. დაწესებულება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუა პერიოდში და დასრულებისას. ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება ყოველკვარტლურად, ხოლო შეფასება წელიწადში ერთხელ. დაწესებულების პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს მიხედვით

დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## **6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს ბაგა ბავი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება N 10-01 დამტკიცებულია “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. დაწესებულებას გაწერილი აქვს მექანიზმები თუ როგორ უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგების საჯაროობას. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენებას:

ა) დაწესებულების ვებ-გვერდი <https://varskvlavebi.ge/>

ბ) სოციალური ქსელი-facebook გვერდი

გ) ელექტრონული ფოსტა;

დ) დაწესებულების საინფორმაციო დაფა

ე) პირდაპირი შეხვედრები

ამავე წესის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნული დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუების შედეგადაც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. “ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. დამტ.შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება N 10-01
2. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების 2026-2030 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტ. დირექტორის 2026 წლის 20.01.N 20-01 ბრძანებით
3. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების 2026-2027 წწ სამოქმედო გეგმა დამტ. შპს ბაგა ბალის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის ბრძანება N 22-01
4. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების თვითშეფასებისა და ავტორიზაციის მოპოვების პროცესის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის, მოვალეობების გადანაწილებისა და სამუშაო ვადის განსაზღვრის შესახებ ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის ბრძანება N 09-01
5. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 6 ( 29.10.2025)შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ
- 6.შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების სამუშაო შეხვედრის ოქმი N 20 (21.01.2026) შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვისა და თანამშრომლებთან გაზიარების შესახებ.
7. ინტერვიუს შედეგები

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება                    |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2. კურიკულუმი<sup>3</sup>

<sup>3</sup> მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახე ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა  
კურიკულუმის დასახელება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ საფუძველზე შედგენილი  
კურიკულუმი „ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის მიერ (დანართი N5 - ბრძანება კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ - 05.11.2025. №12-01), აღნიშნული დოკუმენტის, მეორე მუხლის (კურიკულუმის შერჩევა), პირველი პუნქტის თანახმად კურიკულუმის შექმნის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის შერჩევა; დ) კურიკულუმის დამტკიცება; ამავე დოკუმენტის მესამე მუხლის (კურიკულუმის შექმნა) პირველი და მეორე პუნქტების თანახმად კურიკულუმის შექმნისათვის დაწესებულება იყენებს ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პერსონალს. კურიკულუმის შექმნის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნა; გ) გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან; დ) კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცება.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბრძანება შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ თვითშეფასებისა და ავტორიზაციის მოპოვების პროცესის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის, მოვალეობების გადანაწილებისა და სამუშაო ვადის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N 09-01. 10.09.2025) და აღნიშნული სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის შემუშავების (N7. 28.10.2025) და კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის გაზიარება, განხილვის ( N 8. 07.11.2025) მიზნით.

დამტკიცებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები: კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისა და განხილვის შესახებ (ოქმი N17. 05.01.2026); 1-2 წლის ასაკობრივი ჯგუფის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის წარდგენა დასამტკიცებლად (ოქმი N 19. 08.01.2026).

ზემოთ აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა კურიკულუმი „თამაშის“ საფუძველზე შეიმუშავა კურიკულუმი „ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის (ბრძანება შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ- N20-01. 12.01.2026). აღნიშნული კურიკულუმი დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს ინფორმაციას შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტის შესახებ: კურიკულუმის მიზნები; სწავლების შინაარსი; სწავლების სტრატეგიები, მეთოდები; საგანმანათლებლო რესურსები და გარემო; კურიკულუმის ჩარჩოს ეფექტიანობის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს („ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის) მიმოხილვის ნაწილში ვკითხულობთ შემდეგი სახის ჩანაწერს: კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს „ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის, მესამე თავის (კურიკულუმის შინაარსი) თანახმად „აღმზრდელი კურიკულუმის მიზნებს ბავშვების მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამოცდილებებში მონაწილეობით აღწევს, რისთვისაც იგი შემდეგ საშუალებებს იყენებს: თამაში, რომელიც ბავშვების მიერ არის ინიცირებული, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასევე თამაში, რომელიც აღმზრდელის მიერ არის მოფიქრებული და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისია და ხელშემწყობია“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს „ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის, მეორე თავის (კურიკულუმის მიზნები, ღირებულებები და ამოცანები) თანახმად ოჯახებთან პარტნიორობა ბავშვებთან მუშაობას უფრო შედეგიანს ხდის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო „ვარსკვლავები 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის“ შეიქმნა საქართველოს ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებზე, ასევე რეგიონ ემილიას და კრეატიული

კურიკულუმის მიდგომებზე დაყრდნობით და ეფუძნება კურიკულუმს „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, რომელიც ასევე ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულების მიერ შემუშავებული კულიკულუმის ჩარჩოს („ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის) თანახმად ბაღში მიმდინარე პროცესები ისე იგეგმება და ხორციელდება, რომ მოხდეს ბავშვების უნიკალური თავისებურებების და პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და გამოყენება. კურიკულუმის ასაკობრივი ჯგუფებიდან გამომდინარე, მრავალფეროვნებაში გათვალისწინებულია ბავშვების ასაკობრივი და განვითარების თავისებურებები და საჭიროებები. განვითარების ყველა სფეროში ბავშვების პოტენციალის სრულად გამოვლენის მიზნით, იქმნება ბავშვების საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული გარემო, ხოლო საგანმანათლებლო პროცესი ითვალისწინებს თითოეული მათგანის ოჯახურ, კულტურულ და ინდივიდუალურ თავისებურებებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (დანართი N5 - 05.11.2025. №12-01), მეოთხე მუხლის (კურიკულუმის გაზიარება), პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი და სხვა; დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტაციის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), რომლის საფუძველზეც შექმნილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7); აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (საკომუნიკაციო არხების შერჩევა) მესამე პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული Google meet.Zoom. პლატფორმის გამოყენებით; გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ) საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) დაწესებულების ვებ-გვერდი- Varskvlavebi.ge; ი) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმა; კ) სოციალური მედიის: Facebook-ის, messenger-ის ან viber-ის დახურული ჯგუფები.

დაწესებულებას ერთ დოკუმენტად აქვს დამტკიცებული ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), რომლის თანახმადაც წარმოადგინა შპს „ბაგა-ბალი ვარსკვლავების“ 2026-27 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმების მიზნების, შინაარსისა და ბაღის პილიტიკის გაცნობის მიზნით გაწერილი აქვს პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის (ოქმი N18. 07.01.2026) წარდგენა/გაზიარების მიზნით თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტაციის წარმოებისას გაითვალისწინოს მოვლენათა თანმიმდევრობითი პროცესი და შესაბამისად დაამტკიცოს მარეგულირებელი წესები და თანდართული დოკუმენტები.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბრძანება კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ - 05.11.2025. №12-01.
2. დანართი N5 - „კურიკულუმის შერჩევის/შემუშავების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (05.11.2025. №12-01),
3. ბრძანება შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ თვითშეფასებისა და ავტორიზაციის მოპოვების პროცესის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის, მოვალეობების გადანაწილებისა და სამუშაო ვადის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N 09-01. 10.09.2025)
4. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის შემუშავების მიზნით (N7. 28.10.2025)
5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის გაზიარება/განხილვის მიზნით (N 8. 07.11.2025).
6. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის შერჩევის პროცესის განხილვის მიზნით(ოქმი N9. 10.11.2025);
7. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისა და განხილვის მიზნით (ოქმი N17. 05.01.2026);
8. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი 1-2 წლის ასაკობრივი ჯგუფის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის წარდგენა დამტკიცების მიზნით (ოქმი N 19. 08.01.2026).
9. ბრძანება შემუშავებული კურიკულუმის „ვარსკვლავები 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ შესახებ (N20-01. 12.01.2026).
10. ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო - „ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის
11. ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტაციის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ (ბრძანება N 14-01. 20.11.2025)
12. დანართი N7 - საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (N 14-01. 20.11.2025)
13. შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ 2026-27 წლის საკომუნიკაციო გეგმა (N 14-01. 20.11.2025)
14. თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის - „ვარსკვლავები 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ წარდგენა/გაზიარების მიზნით (ოქმი N18. 07.01.2026).

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა                       |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ (N 15-01. 21.11.2025.), რომლის საფუძველზეც შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი N6)

აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები), დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს ბრძანების დოკუმენტისა და მის საფუძველზე შემუშავებული მარეგულირებელი წესის სახელწოდება; ასევე გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ (N 15-01. 21.11.2025.), რომლის საფუძველზეც შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი N6)

აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: გრძელვადიანი გეგმები იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ტექნიკური პერსონალი და მშობელი. ასევე გრძელვადიანი გეგმა/გეგმები შესაძლებელია შექმნას ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალმა თანამონაწილეობითის პრინციპის გათვალისწინებით; მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 22-01. 22.01.2026), ბრძანების დოკუმენტს თანახმად წარმოადგინა გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (კვირის და დღის) გეგმების ფორმების შაბლონები დანართების სახით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი „ვარსკვლავები“ 0-2 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის;

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო
- აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიო
- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო

ზემოთ აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის მეათე მუხლის (პორტფოლიოების წარმოება) მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) დღის განრიგი; ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; გ) რეფლექსური ჩანაწერები. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; ბ) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; გ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები.

მარეგულირებელი წესის თანახმად აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზი ნათლად ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

#### 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) თანახმად ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვის მიზნით დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.
- მშობლის უკუკავშირი
- საგანმანათლებლო პროცესში განხორციელებული აქტივობების ანალიზი

მარეგულირებელი დოკუმენტის მეოთხე მუხლის თანახმად ინდივიდუალიზაცია ვლინდება: ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით; ბ) დაწესებულების მიერ, ასევე დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები; ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მესამე პუნქტის თანახმად გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მექანიზმი (ბრძანება N 26-01-ა. 25.01.2026), აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ბავშვის სახლიდან ბაგა-ბაღში ტრანზიციის პროცედურები.

საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელებთან) ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ სივრციდან სივრცეში გადასვლისას (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) რუტინული აქტივობები (ქვიშის საათი, სიმღერები). ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) მესამე მუხლის

(საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეოთხე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მოკლევადიანი გეგმის, დღის განრიგის ერთ-ერთი ასპექტი არის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.

აღმზრდელებთან ინტერვიუსა და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ნაკლებად ეძლევათ ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ეზოში განთავსებული კონსტრუქციები: 2 საქანელა, 2 სასრილო და 2 ბალანსის მოწყობილობა, აქედან ერთი დაზიანებული, 1 კარავი და 1 სათამაშო სახლი, საქვიმე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ასევე არ დგას საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის; ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

#### რეკომენდაცია

**დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.**

#### რჩევა

---

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ გარე სივრცის კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად მოწყობის შესახებ, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (18.06.2026) და დასრულების (18.06.2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ბაღის დირექტორი და დამფუძნებელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბაღის დამფუძნებელი, ბაღის მენეჯერი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეხუთე მუხლის თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების უზრუნველყოფა): 1) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. 2) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. 3) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს. 4) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. 5) საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას. 6) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან და კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად. 7) დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (N22. 21.11.2026) საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრის მიზნით; ასევე წარმოადგინა რესურსების მინიმალური ჩამონათვალი; აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია რესურსების ჩამონათვალი/ნუსხა რაოდენობების მიხედვით, თუმცა მარეგულირებელი წესის თანახმად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა არ არის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი წესში გაწერილი პროცედურების შესრულება, კერძოდ, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა დამტკიცებულ იქნას დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

## რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის საკითხზე და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით შემდეგი მტკიცებულება: ბრძანება შპს ბაგა-ბაღი „ვარსკვლავების“ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების დამტკიცების შესახებ (N 31-01. 15/06/2026. დანართი N1), აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება: ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13 - N 11-01. 28.10.2025), აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები) მეხუთე პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (N22. 21.11.2026) საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრის მიზნით; ასევე წარმოადგინა რესურსების მინიმალური ჩამონათვალი; აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია რესურსების ნუსხა რაოდენობების მიხედვით.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი (02.02.2026), დაწესებულებისთვის საბავშვო ლიტერატურის საჩუქრად გადაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია საბავშვო ლიტერატურის ჩამონათვალი.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში წარმოდგენილია ბუნებრივი და ქარხნული მასალა.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბაღის „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“; დაწესებულების წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნულია საბავშვო ლიტერატურის და მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი, თუმცა წარმოადგინა სასაქონლო ზედნადების ცხრილები (17.03.2025; 19.03.2025), რომლითაც დასტურდება განმავითარებელი რესურსის (სათამაშოების და საკანცელარიო ნივთების) შესყიდვის პროცესები.

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისია

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ აწარმოოს „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“ და წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნული იქნება, როგორც საბავშვო ისე მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი; ასევე სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში განთავსებულია ცენტრების ვიზუალური მინიშნებები შესაბამისი

წარწერით, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ არის ბავშვიშტვის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული (ეფარება რესურსი), ასევე არ არის ვიზუალური დღის განრიგი. რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის დიაკარადებში, ნაწილი კი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში, რომლებსაც არ აქვს ვიზუალური მინიშნებები; ჯგუფებში ასევე არ არის პრივატული/განმარტოებისა და ბავშვების ნამუშევრებისთვის სივრცეები.

დაწესებულების შესასვლელში არის მისაღები სივრცე მშობლებისათვის, სადაც მათთვის კედელზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა. ბაღს აქვს მუსიკალური დარბაზი, სადაც დგას ინსტრუმენტი/პიანინო და მუსიკალური ცენტრი.

გარე სივრცეში/ეზოში ძირითადად არის ხელოვნური საფარი, შესაძლებელია ბურთის თამაში, ეზოში განთავსებული კონსტრუქციები: 2 საქანელა, 2 სასრილო და 2 ბალანსის მოწყობილობა, აქედან ერთი დაზიანებულია, 1 კარავი და 1 სათამაშო სახლი; საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ასევე არ დგას საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის, გარე სივრცე არ არის კურიკულუმის შესაბამისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, გარე სივრცე/ეზო დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, სენსორული, დრამატული სივრცე.

### რჩევა

სასურველია, დაწესებულების შიდა და გარე სივრცე ითვალისწინებდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რაც ითვალისწინებს გარემოს თანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის; ცენტრების მოწყობა, შეესაბამებოდეს კურიკულუმის მოთხოვნებს (მაგ. განმარტოების სივრცეში მოეწყოს არაუმეტეს 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი პრივატული ზონა, რომელიც იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი რბილი ავეჯით: რბილი იატაკით, ბალიშებით, პუფებით, შესაბამისი განათებით. რბილი ავეჯი ამცირებს ხმაურის შეგრძნებას და ბავშვს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება დასვენების, გარკვეული დროის პერიოდში განერიდოს ჯგუფის ხმაურს); ჯგუფის კედლებზე თვალსაჩინოების განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების სიმაღლე. ასევე მნიშვნელოვანია, გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საქვიშე, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.

ასევე სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების ჯგუფისა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (18.06.2026) და დასრულების (18.06.2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე რომ გარე სივრცე/ეზო დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, სენსორული, დრამატული სივრცე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ბაღის დირექტორი და დამფუძნებელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბაღის დამფუძნებელი, ბაღის მენეჯერი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახუროდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც ცენტრების მიხედვით არის ორგანიზებული; რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღია და ბავშვების სიმაღლეზე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

განთავსებულია კონსტრუქციები: 2 საქანელა, 2 სასრილო და 2 ბალანსის მოწყობილობა, აქედან ერთი დაზიანებულია, 1 კარავი და 1 სათამაშო სახლი; საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ასევე არ დგას საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი არ არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შერჩეული კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოს გარე სივრცის/ეზოს დაყოფა სათამაშო სივრცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების გარე სივრცის რესურსით აღჭურვის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყების (18.06.2026) და დასრულების (18.06.2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება შერჩეული კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოფს გარე სივრცის/ეზოს დაყოფას სათამაშო სივცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ბაღის დირექტორი და დამფუძნებელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბაღის დამფუძნებელი, ბაღის მენეჯერი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

### 3. **ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად, გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ფარდაგებით, თუმცა ჯგუფებში არ არის პრივატული სივრცეები განმარტოებისათვის. ჯგუფური ოთახების სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 4-5 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის ბაღში არის ასევე მუსიკალური დარბაზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**რეკომენდაცია**

.....

.....

**რჩევა**

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ჯგუფებში პრივატული სივრცეების მოწყობა, სადაც ბავშვებს დასვენებისა და განმარტების შესაძლებლობა ექნებათ (მაგ. განმარტების სივრცეში მოეწყოს არაუმეტეს 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი პრივატული ზონა, რომელიც იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი რბილი ავეჯით: რბილი იატაკით, ბალიშებით, პუფებით, შესაბამისი განათებით. რბილი ავეჯი ამცირებს ხმაურის შეგრძნებას და ბავშვს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება დასვენების, გარკვეული დროის პერიოდში განერიდოს ჯგუფის ხმაურს).

ასევე სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მერვე მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა; დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩეკლისტები; დ) სკალები; ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

დაწესებულებამ წარმოადგინა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 22-01. 22.01.2026), აღნიშნულ ბრძანებას თან ახლავს გრძელვადიანი (წლიური), მოკლევადიანი (დღის, კვირის), დაკვირვების, შეფასებისა და დაგეგმვის ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

---

---

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მერვე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი.

ადგილზე ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელები) გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) თანახმად დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს: ა) პროცესის დაგეგმვა, ბ) განხორციელებული აქტივობები, გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობა, დ) ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება, ე) ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი, ვ) გამოყენებული მითითებები ( ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება), ზ) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესი ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და უკუკავშირის საფუძველზე. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია წელიწადში ორჯერ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, ანალიზის შედეგად შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური ისე შინაარსობრივი ცვლილება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეცხრე მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (N 15-01. 21.11.2025.)
2. დანართი N 6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N 15-01. 21.11.2025.).
3. ბრძანება ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ (N 11-01. 28.10.2025)
4. დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (N 11-01. 28.10.2025)
5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრის მიზნით (N22. 21.11.2026)
6. შპს ბაგა-ბაღი „ვარსკვლავების“ რესურსების მინიმალური ჩამონათვალი.
7. მიღება-ჩაბარების აქტი დაწესებულებისთვის საბავშვო ლიტერატურის საჩუქრად გადაცემასთან დაკავშირებით (02.02.2026).
8. განმავითარებელი რესურსის (სათამაშოების და საკანცელარიო ნივთების) შესყიდვის სასაქონლო ზედნადების ცხრილები (17.03.2025; 19.03.2025)
9. ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მექანიზმი (ბრძანება N 26-01-ა. 25.01.2026)
10. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).
11. ინტერვიუს შედეგები.

|                                       |                                                          |                                                 |                                         |
|---------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                             |                                                          |                                                 |                                         |
| <b>2.2. კურიკულუმის განხორციელება</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>  | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

#### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს: ა) პროცესის დაგეგმვა, ბ) განხორციელებული აქტივობები, გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობა, დ) ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება, ე) ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი, ვ) გამოყენებული მიდგომები ( ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება), ზ) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია წელიწადში ორჯერ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, შეფასების გუნდი შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომში განვითარება) მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი; ანგარიში მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სიტუაციის აღწერას, გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და რეკომენდაციებს; ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური (გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან), ისე შინაარსობრივი (აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.) ცვლილება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (N 15-01. 21.11.2025.).
2. დანართი N 6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N 15-01. 21.11.2025.).

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| <b>2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება</b> |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2. კურიკულუმი

პროგრამის სახე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

#### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის მიერ (დანართი N5 - ბრძანება კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ - 05.11.2025. №12-01), აღნიშნული დოკუმენტის, მეორე მუხლის (კურიკულუმის შერჩევა), პირველი პუნქტის თანახმად კურიკულუმის შექმნის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; გ) კურიკულუმის შერჩევა; დ) კურიკულუმის დამტკიცება; ამავე დოკუმენტის მესამე მუხლის (კურიკულუმის შექმნა) პირველი და მეორე პუნქტების თანახმად კურიკულუმის შექმნისათვის დაწესებულება იყენებს ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პერსონალს. კურიკულუმის შექმნის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) კურიკულუმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფის შექმნა; ბ) ჯგუფის მიერ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნა; გ) გაზიარება დაინტერესებულ მხარეებთან; დ) კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცება.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბრძანება შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ თვითშეფასებისა და ავტორიზაციის მოპოვების პროცესის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის, მოვალეობების გადანაწილებისა და სამუშაო ვადის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N 09-01. 10.09.2025) და აღნიშნული სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის შემუშავების (N7. 28.10.2025) და კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის გაზიარება, განხილვის ( N 8. 07.11.2025) მიზნით.

დამტკიცებული მარეგულირებელი წესის შესაბამისად დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები: კურიკულუმის შერჩევის პროცესის განხილვა (ოქმი N9. 10.11.2025); კურიკულუმის- „თამაში 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის“ წარდგენა/გაზიარება (ოქმი N 10. 10.11. 2025).

ზემოთ აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა შეარჩა კურიკულუმი „თამაში 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის“ (ბრძანება შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ მიერ შერჩეული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ- N13-01. 14.11.2025), აღნიშნული კურიკულუმი დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.....

### რჩევა

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება კურიკულუმის მიზნებით: უზრუნველყოს ბავშვების ჰოლისტური განვითარება, სკოლისათვის მზაობა და ემოციური კეთილდღეობა, განსაკუთრებული ფოკუსით ჯგუფის ერთობაზე, კვლევა-აღმოჩენასა და ხელოვნებაზე. ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული და დაგეგმილი პრაქტიკა სთავაზობს ბავშვებს მრავალფეროვან თამაშებს, აქტივობებს, გამოწვევებს, ემოციურად უსაფრთხო გარემოს და სხვა სტრატეგიებს, რომლებიც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ მრავალმხრივ, გაუმკლავდნენ სტრესს და იგრძნონ თავი ემოციურად კარგად. კურიკულუმი ბავშვებს მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს, ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით; სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის; თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

#### 4.კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში; ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში; ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში; საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან კავშირის დამყარებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

#### 5.კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს. ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას, აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები/საჭიროებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**  
**რეკომენდაცია**

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (დანართი N5 - 05.11.2025. №12-01), მეოთხე მუხლის (კურიკულუმის გაზიარება), პირველი, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს; დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი და სხვა; დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტაციის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), რომლის საფუძველზეც შექმნილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (დანართი N7); აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (საკომუნიკაციო არხების შერჩევა) მესამე პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული Google meet.Zoom. პლატფორმის გამოყენებით; გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ) საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) დაწესებულების ვებ-გვერდი- Varskvlavebi.ge; ი) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმა; კ) სოციალური მედიის: Facebook-ის, messenger-ის ან viber-ის დახურული ჯგუფები.

დაწესებულებას ერთ დოკუმენტად აქვს დამტკიცებული ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), რომლის თანახმადაც წარმოადგინა შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ 2026-27 წლის საკომუნიკაციო გეგმა, სადაც

შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმების მიზნების, შინაარსისა და ბალის პილიტიკის გაცნობის მიზნით გაწერილი აქვს პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის - „თამაში 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ (ოქმი N10. 10.11.2025) წარდგენა/გაზიარების მიზნით თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტაციის წარმოებისას გაითვალისწინოს მოვლენათა თანმიმდევრობითი პროცესი და შესაბამისად დაამტკიცოს მარეგულირებელი წესები და თანდართული დოკუმენტები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბრძანება კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ - 05.11.2025. №12-01.

2. დანართი N5 - „კურიკულუმის შერჩევის/შემუშავების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (05.11.2025. №12-01),
3. ბრძანება შპს „ბაგა-ბალი ვარსკვლავების“ თვითშეფასებისა და ავტორიზაციის მოპოვების პროცესის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის, მოვალეობების გადანაწილებისა და სამუშაო ვადის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N 09-01. 10.09.2025)
4. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის შემუშავების მიზნით (N7. 28.10.2025)
5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის შერჩევა/შემუშავების მარეგულირებელი წესის გაზიარება/განხილვის მიზნით (N 8. 07.11.2025).
6. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის შერჩევის პროცესის განხილვის მიზნით(ოქმი N9. 10.11.2025);
7. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის- „თამაში 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის“ წარდგენა/გაზიარების მიზნით (ოქმი N 10. 10.11. 2025);
8. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისა და განხილვის მიზნით (ოქმი N17. 05.01.2026);
9. ბრძანება ადრეული განათლების კურიკულუმის „თამაში 2-დან 6 წლამდე ასაკის ჯგუფებისათვის“ დამტკიცების შესახებ (N13-01. 14.11.2025)
10. დანართი N 4 - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკის ჯგუფებისათვის

11. ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტაციის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ (ბრძანება N 14-01. 20.11.2025)
12. დანართი N7 - საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (N 14-01. 20.11.2025)
13. შპს „ბაგა-ბადი ვარსკვლავების“ 2026-27 წლის საკომუნიკაციო გეგმა (N 14-01. 20.11.2025)
14. თანამშრომლებთან შეხვედრის ოქმი კურიკულუმის - „თამაში 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ წარდგენა/გაზიარების მიზნით (ოქმი N10. 10.11.2025).

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| <b>2.1 კურიკულუმის დაგეგმვა</b>                 |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ (N 15-01. 21.11.2025.), რომლის საფუძველზეც შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი N6)

აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში-გეგმა/გეგმები), დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველკვირეული და გრძელვადიანი წლიური და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს ბრძანების დოკუმენტისა და მის საფუძველზე შემუშავებული მარეგულირებელი წესის სახელწოდება; ასევე გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ (N 15-01. 21.11.2025.), რომლის საფუძველზეც შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი N6)

აღნიშნული დოკუმენტის მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: გრძელვადიანი გეგმები იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ტექნიკური პერსონალი და მშობელი. ასევე გრძელვადიანი გეგმა/გეგმები შესაძლებელია შექმნას ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალმა თანამონაწილეობითი პრინციპის გათვალისწინებით; მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 22-01. 22.01.2026), ბრძანების დოკუმენტს თანახმად წარმოადგინა გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (კვირის და დღის) გეგმების ფორმების შაბლონები დანართების სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

#### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) თანახმად დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო
- აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიო
- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო

ზემოთ აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის მეათე მუხლის (პორტფოლიოების წარმოება) მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტების თანახმად: აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) დღის განრიგი; ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; გ) რეფლექსური ჩანაწერები. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; ბ) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; გ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები.

მარეგულირებელი წესის თანახმად აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზი ნათლად ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

---

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



#### 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) თანახმად ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვის მიზნით დაწესებულებაში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
- რეფლექსიური ჩანაწერები;
- ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები.
- მშობლის უკუკავშირი
- საგანმანათლებლო პროცესში განხორციელებული აქტივობების ანალიზი

მარეგულირებელი დოკუმენტის მეოთხე მუხლის თანახმად ინდივიდუალიზაცია ვლინდება: ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით; ბ) დაწესებულების მიერ, ასევე დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები; ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 5.თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მესამე პუნქტის თანახმად გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მექანიზმი (ბრძანება N 26-01-ა. 25.01.2026), აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ბავშვის სახლიდან ბაგა-ბაღში ტრანზიციის პროცედურები.

საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელებთან) ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ მათ აქვთ ცოდნა თამაშით წარმართონ სივრციდან სივრცეში გადასვლისას (მაგ. ოთახიდან ეზოში, სეირნობიდან ოთახში, კვებაზე გადასვლა) რუტინული აქტივობები (ქვიშის საათი, სიმღერები). ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ - N 15-01. 21.11.2025) მესამე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მეოთხე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მოკლევადიანი გეგმის, დღის განრიგის ერთ-ერთი ასპექტი არის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა.

აღმზრდელებთან ინტერვიუსა და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ჯგუფებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ექნებათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ნაკლებად ეძლევათ ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ეზოში განთავსებული კონსტრუქციები: 2 საქანელა, 2 სასრილო და 2 ბალანსის მოწყობილობა, აქედან ერთი დაზიანებული, 1 კარავი და 1 სათამაშო სახლი, საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ასევე არ დგას საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის; ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების გარე სივრცის რესურსით აღჭურვის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (18.06.2026) და დასრულების (18.06.2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება შერჩეული

კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოფს გარე სივრცის/ეზოს დაყოფას სათამაშო სივრცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ბაღის დირექტორი და დამფუძნებელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბაღის დამფუძნებელი, ბაღის მენეჯერი). აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეხუთე მუხლის თანახმად (საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების უზრუნველყოფა): 1) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. 2) დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. 3) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს. 4) დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. 5) საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას. 6) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან და კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად. 7) დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (N22. 21.11.2026) საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრის მიზნით; ასევე წარმოადგინა რესურსების მინიმალური ჩამონათვალი; აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია რესურსების ჩამონათვალი/ნუსხა რაოდენობების მიხედვით, თუმცა მარეგულირებელი წესის თანახმად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა არ არის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი წესში გაწერილი პროცედურების შესრულება, კერძოდ, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა დამტკიცებულ იქნას დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის საკითხზე და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით შემდეგი მტკიცებულება: ბრძანება შპს ბაგა-ბაღი „ვარსკვლავების“ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების დამტკიცების შესახებ (N 31-01. 15/06/2026. დანართი N1), აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება: ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (დანართი N13 - N 11-01. 28.10.2025), აღნიშნული დოკუმენტის მეოთხე მუხლის (დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები) მეხუთე პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (N22. 21.11.2026) საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრის მიზნით; ასევე წარმოადგინა რესურსების მინიმალური ჩამონათვალი; აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია რესურსების ნუსხა რაოდენობების მიხედვით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი (02.02.2026), დაწესებულებისთვის საბავშვო ლიტერატურის საჩუქრად გადაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია საბავშვო ლიტერატურის ჩამონათვალი. ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში წარმოდგენილია ბუნებრივი და ქარხნული მასალა. ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბალის „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“; დაწესებულების წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნულია საბავშვო ლიტერატურის და მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი, თუმცა წარმოადგინა სასაქონლო ზედნადების ცხრილები (17.03.2025; 19.03.2025), რომლითაც დასტურდება განმავითარებელი რესურსის (სათამაშოების და საკანცელარიო ნივთების) შესყიდვის პროცესები. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი დაწესებულების თვითშეფასების ფორმაში მითითებული ბავშვების რაოდენობის შესაბამისია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ აწარმოოს „ინვენტარიზაციის დოკუმენტი“ და წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც აღნიშნული იქნება, როგორც საბავშვო ისე მეთოდური ლიტერატურის ჩამონათვალი; ასევე სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს; ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წახალისოს; ხელი შეუწყოს ემოციური კომპეტენციების განვითარებას, შემოქმედებითობას, სოციალიზაციას, ჯგუფის ერთობას და ბავშვებს შორის თანამშრომლობის წახალისებას. ბავშვებს ჰქონდეთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეშვიდე მუხლის (გარემოს ფიზიკური მოწყობა) თანახმად: დაწესებულების ფიზიკურ გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს; კურიკულუმის განხორციელების პროცესში ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად; დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბრად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში. ჯგუფის ოთახში განთავსებულია ცენტრების ვიზუალური მინიშნებები შესაბამისი წარწერით, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ არის ბავშვშტვის თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული (ეფარება რესურსი), ასევე არ არის ვიზუალური დღის განრიგი. რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის დია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში, რომლებსაც არ აქვს ვიზუალური მინიშნებები; ჯგუფებში ასევე არ არის პრივატული/განმარტოებისა და ბავშვების ნამუშევრებისთვის სივრცეები.

დაწესებულების შესასვლელში არის მისაღები სივრცე მშობლებისათვის, სადაც მათთვის კედელზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა. ბაღს აქვს მუსიკალური დარბაზი, სადაც დგას ინსტრუმენტი/პიანინო და მუსიკალური ცენტრი.

გარე სივრცეში/ეზოში ძირითადად არის ხელოვნური საფარი, შესაძლებელია ბურთის თამაში, ეზოში განთავსებული კონსტრუქციები: 2 საქანელა, 2 სასრილო და 2 ბალანსის მოწყობილობა, აქედან ერთი დაზიანებულია, 1 კარავი და 1 სათამაშო სახლი; საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ასევე არ დგას საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის, გარე სივრცე არ არის კურიკულუმის შესაბამისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად, გარე სივრცე/ეზო დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, სენსორული, დრამატული სივრცე.

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულების შიდა და გარე სივრცე ითვალისწინებდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რაც ითვალისწინებს გარემოს თანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის; ცენტრების მოწყობა, შეესაბამებოდეს კურიკულუმის მოთხოვნებს (მაგ. განმარტოების სივრცეში მოეწყოს არაუმეტეს 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი პრივატული ზონა, რომელიც იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი რბილი ავეჯით: რბილი იატაკით, ბალიშებით, პუფებით, შესაბამისი განათებით. რბილი ავეჯი ამცირებს ხმაურის შეგრძნებას და ბავშვს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება დასვენების, გარკვეული დროის პერიოდში განერიდოს ჯგუფის ხმაურს); ჯგუფის კედლებზე თვალსაჩინოების განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების სიმაღლე. ასევე მნიშვნელოვანია, გარე სივრცე დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად- მოძრავი თამაშების სივრცე, ბოსტანი ან ბაღი, სენსორული, დრამატული სივრცე, განთავსებული იყოს მაგიდა/ები, სკამები, საქვიშე, გადახურული შენობა, სადაც ბავშვებს დიდ და მცირე ჯგუფებში თამაშის შესაძლებლობა ექნებათ.

ასევე სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ კურიკულუმის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების ჯგუფისა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობის შესახებ.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (18.06.2026) და დასრულების (18.06.2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ისე რომ გარე სივრცე/ეზო დაყოფილი იყოს სათამაშო სივრცეებად: მოძრავი თამაშების სივრცე, სენსორული, დრამატული სივრცე), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ბაღის დირექტორი და დამფუძნებელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბაღის დამფუძნებელი, ბაღის მენეჯერი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

**2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახუროდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც ცენტრების მიხედვით არის ორგანიზებული; რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღია და ბავშვების სიმაღლეზე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

განთავსებულია კონსტრუქციები: 2 საქანელა, 2 სასრიადო და 2 ბალანსის მოწყობილობა, აქედან ერთი დაზიანებულია, 1 კარავი და 1 სათამაშო სახლი; საქვიშე კუსტარულად არის მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს დანიშნულებისამებრ გამოყენებას; ასევე არ დგას საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები, აღნიშნული რესურსი კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა არ არის კურიკულუმის შესაბამისი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი არ არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

**რეკომენდაცია**

დაწესებულებამ შერჩეული კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოს გარე სივრცის/ეზოს დაყოფა სათამაშო სივრცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის.

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწესებულების გარე სივრცის რესურსით აღჭურვის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა აქტივობის დაწყებისა (18.06.2026) და დასრულების (18.06.2027) სავარაუდო თარიღები, შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები თვეებში (12 თვე), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა/აქტივობები (დაწესებულება შერჩეული კურიკულუმის თანახმად, უზრუნველყოფს გარე სივრცის/ეზოს დაყოფას სათამაშო სივრცეებად, შესაბამისი რესურსების ორგანიზებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისათვის), შესაბამისობის გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (ბაღის დირექტორი და დამფუძნებელი) და საჭირო რესურსი-მატერიალური/ფინანსური/ადამიანური (ბაღის დამფუძნებელი, ბაღის მენეჯერი).

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

### 3.ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიური და პასიური, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად, გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი ფარდაგებით, თუმცა ჯგუფებში არ არის პრივატული სივრცეები განმარტებისათვის. ჯგუფური ოთახების სივრცე იძლევა შესაძლებლობას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისათვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 4-5 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის ბაღში არის ასევე მუსიკალური დარბაზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ჯგუფებში პრივატული სივრცეების მოწყობა, სადაც ბავშვებს დასვენებისა და განმარტების შესაძლებლობა ექნებათ (მაგ. განმარტების სივრცეში მოეწყოს არაუმეტეს 2-3 ბავშვისთვის განკუთვნილი პრივატული ზონა, რომელიც იქნება დასვენებისთვის განკუთვნილი, კომფორტულად მოწყობილი რბილი ავეჯით: რბილი იატაკით, ბალიშებით, პუფებით, შესაბამისი განათებით. რბილი ავეჯი ამცირებს ხმაურის შეგრძნებას და ბავშვს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება დასვენების, გარკვეული დროის პერიოდში განერიდოს ჯგუფის ხმაურს).

ასევე სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მერვე მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტების თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა; დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩეკლისტები; დ) სკალები; ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

დაწესებულებამ წარმოადგინა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, ბავშვის შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 22-01. 22.01.2026), აღნიშნულ ბრძანებას თან ახლავს გრძელვადიანი (წლიური), მოკლევადიანი (დღის, კვირის), დაკვირვების, შეფასებისა და დაგეგმვის ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მერვე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი.

ადგილზე ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელები) გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება ბავშვების ინტერესების გამოვლენას, რასაც შემდგომში გაითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) თანახმად დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს: ა) პროცესის დაგეგმვა, ბ) განხორციელებული აქტივობები, გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობა, დ) ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება, ე) ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი, ვ) გამოყენებული მიდგომები ( ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება), ზ) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესი ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და უკუკავშირის საფუძველზე. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია წელიწადში ორჯერ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, ანალიზის შედეგად შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური ისე შინაარსობრივი ცვლილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეცხრე მუხლის (ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა) თანახმად კი დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

#### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (N 15-01. 21.11.2025.)
2. დანართი N 6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N 15-01. 21.11.2025.).
3. ბრძანება ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ (N 11-01. 28.10.2025)
4. დანართი N13 - ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (N 11-01. 28.10.2025)
5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური რესურსების განსაზღვრის მიზნით (N22. 21.11.2026)
6. შპს ბაგა-ბაღი „ვარსკვლავების“ რესურსების მინიმალური ჩამონათვალი.
7. მიღება-ჩაბარების აქტი დაწესებულებისთვის საბავშვო ლიტერატურის საჩუქრად გადაცემასთან დაკავშირებით (02.02.2026).
8. განმავითარებელი რესურსის (სათამაშოების და საკანცელარიო ნივთების) შესყიდვის სასაქონლო ზედნადების ცხრილები (17.03.2025; 19.03.2025)
9. ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების, გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზიციის პროცესის მექანიზმი (ბრძანება N 26-01-ა. 25.01.2026)
10. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა და გარე სივრცის ამსახველი ფოტოები).

## 11. ინტერვიუს შედეგები.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 2.2 კურიკულუმის განხორციელება        |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

#### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება) თანახმად, დაწესებულებაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს; ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს: ა) პროცესის დაგეგმვა, ბ) განხორციელებული აქტივობები, გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობა, დ) ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება, ე) ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი, ვ) გამოყენებული მიდგომები ( ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება), ზ) აღმზრდელის სტრატეგიები. პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე.

მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია წელიწადში ორჯერ ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ, შეფასების გუნდი შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესის (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) მეთერთმეტე მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომში განვითარება) მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი; ანგარიში მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სიტუაციის აღწერას, გამოწვევებს, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და რეკომენდაციებს; ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური (გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან), ისე შინაარსობრივი (აქტივობების შინაარსის შეცვლასთან, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან და სხვ.) ცვლილება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს შერჩეული და შექმნილი კურიკულუმების თავისებურებები და ასახოს მარეგულირებელ წესებსა და თანდართული დოკუმენტებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (N 15-01. 21.11.2025.).
2. დანართი N 6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N 15-01. 21.11.2025.).

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 2.3 კურიკულუმის შეფასება და განვითარება         |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

#### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

##### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

## 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ერთ დოკუმენტად აქვს დამტკიცებული ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მე-2 და მე-3 მუხლებით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა; ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა; გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა; დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადანაწილება; ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა; ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2026-2027 წლის საკომუნიკაციო გეგმა რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, გამხორციელების პერიოდი თვეების მიხედვით და პასუხისმგებელი პირები. საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები (ღია კარის დღეები-გაცნობითი ხასიათის: სასწავლო პროცესის დაწყებამდე ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები. ბაღის პოლიტიკის გაცნობა, მშობელთა მხრიდან ინფორმაციის გაზიარება, ბაღის ფიზიკური გარემოს გაცნობა. საგანმანათლებლო პერსონალისთვის/მშობლებისთვის სამოქმედო გეგმის გაცნობა-საბავშვო ბაღის სტრატეგიის გაცნობა; კურიკულუმის მიზნების გაცნობა- თამაშით სწავლება, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა, ბავშვი როგორც სწავლების მთავარი აქტორი. შეხვედრები თემთან/ოჯახთან: ვიზიტი სკოლაში სასკოლო მზაობის ჯგუფის ტრანზიციის გაადვილების მიზნით; შემეცნებითი ექსკურსია მთაწმინდის პარკში; ვიზიტი თემში არსებულ სუპერმარკეტში, საცხოვში- კურიკულუმის თემატიკის შესაბამისად. თემის წარმომადგენლების მოწვევა კურიკულუმის შესაბამისი თემატურ აქტივობებზე. მშობელთა ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის შეხვედრები: ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები, ბავშვთა უფლებები; ძალადობის ფორმები; აღზრდის ავტორიტეტული მეთოდების გაცნობა, თამაშების მნიშვნელობა/ჭუჭყიანი თამაშები. შეფასების შედეგების გაზიარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან- ინდივიდუალური შეხვედრები წელიწადში ორჯერ; ღონისძიებებისა და პრეზენტაციების დაგეგმვა საგანმანათლებლო პერსონალისა და მშობლების ჩართულობით- თემატური პრეზენტაციები. მშობელთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა- საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები- როგორც მოხალისე, ექსპერტი, აღმზრდელის დამხმარე და სხვა).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და 2026-2027 წლის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში. დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვების განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ასევე ურთიერთობა თემში მოქმედ ორგანიზაციებთან.

დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელთან ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ ისინი თემისა და მშობლის წახალისების მიზნით მშობელთა დახურულ ჯგუფებში (ე.წ.ჩატებში) განათავსებენ ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ. წახალისების მიზნით დაწესებულების სივრცეში მოწყობილია მშობელთა კუთხე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ (დანართი N7. ბრძანება N 14-01. 20.11.2025), აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული Google meet. Zoom. პლატფორმის გამოყენებით; გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ) საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) დაწესებულების ვებ-გვერდი; ი) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმა; კ) სოციალური მედიის: Facebook-ის, messenger-ის ან viber-ის დახურული ჯგუფები. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ კედელზე განთავსებულია მშობელთა საინფორმაციო დაფა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**  
**რეკომენდაცია**

**რჩევა**

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მექანიზმის დამტკიცების შესახებ (N 15-01. 21.11.2025.).
2. დანართი N 6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N 15-01. 21.11.2025.).
3. ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტაციის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ (ბრძანება N 14-01. 20.11.2025)
4. დანართი N7 - საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (N 14-01. 20.11.2025)
5. შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ 2026-27 წლის საკომუნიკაციო გეგმა (N 14-01. 20.11.2025)
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).
7. ინტერვიუს შედეგები

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| <b>3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა</b>             |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

#### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული 2026-2027 წლის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), სადაც იკითხება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით: (შეხვედრები თემთან/ოჯახთან: ვიზიტი სკოლაში სასკოლო მზაობის ჯგუფის ტრანზიციის გაადვილების მიზნით; შემეცნებითი ექსკურსია მთაწმინდის პარკში; ვიზიტი თემში არსებულ სუპერმარკეტში, საცხოვში- კურიკულუმის თემატიკის შესაბამისად. თემის წარმომადგენლების მოწვევა კურიკულუმის შესაბამისი თემატურ აქტივობებზე. მშობელთა ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის შეხვედრები: ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები, ბავშვთა უფლებები; ძალადობის ფორმები; აღზრდის ავტორიტეტული მეთოდების გაცნობა, თამაშების მნიშვნელობა/ჭუჭყიანი თამაშები.). დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელთან ინტერვიუსას დასტურდება, რომ მათ აქვთ ცოდნა მშობლებს გააცნონ ბავშვთა უფლებებისა და ასაკობრივი განვითარების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.), აღნიშნული წესის მე-2, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს გაუზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა მოხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს გაუზიარებს ბავშვის პორტფელიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. მიიღებს უკუკავშირს და გაითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული 2026-2027 წლის საკომუნიკაციო გეგმა (ბრძანება N 14-01. 20.11.2025), აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი აქტივობაა-ვიზიტი თემში: კურიკულუმის ფარგლებში ვიზიტების დაორგანიზება თემში; სააღმზრდელო ჯგუფები ბავშვების ინტერესების შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებაში, თემში (მაგ. სკოლაში, სუპერმარკეტი, მთაწმინდის პარკში; საცხოვრო და სხვა).

დაწესებულების მენეჯერთან და აღმზრდელთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ გააზრებული აქვთ გამოიყენონ თემის რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად, საგანმანათლებლო პერსონალს წინასწარ დაიდენტიფიცირებული აქვს თემის რესურსი. ბავშვების ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი თემა/პროექტის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალი წინასწარ

უთანხმდება მშობლებს და მათი დახმარებით უკავშირდება თემის წარმომადგენლებს, ან სატელეფონო ზარით ან ადგილზე ვიზიტის ფარგლებში. ამის შემდგომ აორგანიზებენ ბავშვების ვიზიტს აღნიშნულ დაწესებულებებში. ამაში აქტიურად ჩართულია მშობელი. ასევე, საგანმანათლებლო პერსონალმა შესაძლოა ბავშვების ვიზიტის ნაცვლად დააორგანიზოს თემის წარმომადგენლის ვიზიტი საბავშვო ბაღში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

#### 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი N6 - N 15-01. 21.11.2025.) აღნიშნული წესის მე-12 მუხლში გაწერილია გამოკითხვისთვის გამოსაყენებელი მეთოდები და მიღებული შედეგების საფუძველზე ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. შეფასებას ახორციელებს დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი წელიწადში ორჯერ, გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, ანალიზის შედეგად შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური ისე შინაარსობრივი ცვლილება (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში).

დაწესებულება გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაიგეგმება გეგმიურ ციკლში, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (N 15-01. 21.11.2025.).
2. დანართი N 6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N 15-01. 21.11.2025.).
3. ბრძანება საკომუნიკაციო გეგმის დოკუმენტაციის დაგეგმვის მექანიზმის შესახებ (ბრძანება N 14-01. 20.11.2025)
4. დანართი N7 - საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (N 14-01. 20.11.2025)
5. შპს „ბაგა-ბაღი ვარსკვლავების“ 2026-27 წლის საკომუნიკაციო გეგმა (N 14-01. 20.11.2025)
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები (დანართად შიდა სივრცის ამსახველი ფოტოები).
7. ინტერვიუს შედეგები

|                                                      |                                               |                                                 |                                         |
|------------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                            |                                               |                                                 |                                         |
| <b>3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება</b> |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>      | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>4</sup>

<sup>4</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

#### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

##### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

##### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს „ბაგა ბავშვთა განვითარების“ ორგანიზაციული სტრუქტურით განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები: დირექტორი, მენეჯერი, საგანმანათლებლო პერსონალი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის მრეცხავი, დამლაგებელი და მეზოვე, ასევე ტექნიკური მენეჯერი, რომელსაც ექვემდებარება მზარეული.

დაწესებულების შინაგანაწესის დანართ N1-ში გაწერილია თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები: დირექტორი, მენეჯერი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის მენეჯერი (ექთანი), აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, მუსიკის პედაგოგი, ცეკვის პედაგოგი, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, დამლაგებელი და ტექნიკური მენეჯერი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დგინდება, რომ ვიზიტის პერიოდში გაფორმებული იყო ხელშეკრულებები შემდეგ პოზიციებზე დასაქმებულ პირებთან: მენეჯერი (1), აღმზრდელი (6), ფსიქოლოგი (1), ექიმი (1), დიასახლისი (1) და ტექნიკური მენეჯერი (1).

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაში (ორგანოგრამა), შინაგანაწესის დანართ N1-სა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის დოკუმენტში მითითებულია „ექთნის“ პოზიცია, ხოლო ხელშეკრულებაში ფიქსირდება „ექიმის“ პოზიცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 22 იანვრის ბრძანება N23-01, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებას არ ჰყავს განსაზღვრული ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი პირი. თუმცა, სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის მიხედვით, სპეციალური პედაგოგის ფუნქცია-მოვალეობებში შედის ბავშვის საჭიროებების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის შემუშავება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს შინაგანაწესის დანართ N1-ში განსაზღვრული პოზიციების, ორგანიზაციული სტრუქტურის (ორგანიგრამის) და თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში და ხელშეკრულებებში მითითებული პოზიციების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა უზრუნველყოფილი იყოს დოკუმენტების შინაარსობრივი თანხვედრა და სისტემურობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შინაგანაწესის დანართ N1-ში განსაზღვრულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები ზოგადად მკაფიოდ არის განსაზღვრული და არ იკვეთება მათი ურთიერთგადამჯაროება. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში იკვეთება გარკვეული ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი უზუსტობები, კერძოდ, მენეჯერის ფუნქციებში მითითებულია შინაგანაწესისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების დამტკიცების უფლებამოსილება, მაშინ როდესაც დაწესებულებაში მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტები დამტკიცებულია დირექტორის მიერ. ამასთანავე, დოკუმენტში არ არის განსაზღვრული ბავშვთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-4 მუხლი განსაზღვრავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და ვალდებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებაში ყველა პოზიციის ფუნქცია-მოვალეობა ერთიან დოკუმენტში იყოს გაერთიანებული, რადგან ეს ხელს უწყობს მართვის პროცესების გამარტივებას და დოკუმენტაციის სტრუქტურულ გამართულობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამემა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის ბრძანება N29-01-ა „ბაგა-ბალის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემდეგ პოზიციებთან მიმართებით: დირექტორი, მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი, სპეციალური პედაგოგი, აღმზრდელი, საქმისმწარმოებელი (ბუღალტერი), ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი (ექთანი), ფსიქოლოგი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის პედაგოგი, ცეკვის პედაგოგი, დიასახლისი, მზარეული და მეზღვე-მეზღვე. ამასთან, შინაგანაწესის დანართ N1-ში განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებში დამატებით ფიქსირდება ისეთი პოზიციები, როგორიცაა ლოგოპედი და მზარეულის თანაშემწე, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები წარმოდგენილ დოკუმენტში განსაზღვრული არ არის. ასევე, საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მეზღვე-მეზღვისა და საქმისმწარმოებლის (ბუღალტერი) მიმართ, თუმცა აღნიშნული პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები დოკუმენტში არ არის ასახული.

დაწესებულებამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები შემდეგ პოზიციებზე: მენეჯერი, აღმზრდელი, ექიმი, ტექნიკური მენეჯერი და ფსიქოლოგი. აღნიშნული პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამემა დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია რომ არ იყო წარმოდგენილი დირექტორის პირადი საქმე, რის შედეგადაც ვერ დადგინდა მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია რომ ბაგა ბალის საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს გავლილი აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდული. დაწესებულება გეგმავს 15.03.3036-15.03.2027 პერიოდში საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა თანამშრომლის პირადი საქმის წარმოება რაც უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციისა და შესაბამისობის დადგენას დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით.

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (15.03.2026-15.03.2027) უზრუნველყოს საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულების გავლით.

#### რჩევა

დაწესებულების მიერ წამოდგენილი ბაგა ბალის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი და დაწესებულების შინაგანაწესის დანართ 1 ით განსაზღვრული სამუშაო აღწერილობები მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში.

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (იხ. დაწესებულების წერილი 18.06.2026). რეკომენდაციის შესასრულებლად დაწესებულებამ განსაზღვრა ვადა: 18.06.2026 – 18.06.2027. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას, რაც საფუძვლად დაედება მათ კვალიფიკაციასა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. ექსპერტთა მხრიდან გაზიარებული იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“- შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

#### 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებულ საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის 22 თებრვლიდან -2026 წლის 22 ივნისის პერიოდში იგეგმება დაწესებულებაში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგების ჩატარება. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ი/მ ანა ბუცხრიკიძესთან. აღნიშნული მემორანდუმით დგონდება რომ დაწესებულება გეგმავს 6 თანამშრომლისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის ჩატარებას. წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სტანდარტის კომპონენტის ნომრად მითითებულია 4.4 4.3 ის ნაცვლად. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არ იქნა გაზიარებული ექსპერტთა მხრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

##### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პერსონალისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგების ჩატარება. საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ტრენინგის გავლა უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით (სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები ან სხვა მტკიცებულებები) და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი სათანადო დოკუმენტირება პერსონალის პირად საქმეში.

##### რჩევა

.....

.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა (იხ. დაწესებულების წერილი 18.06.2026) დაწესებულების თანამშრომელთა მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები/სერთიფიკატები. თანამშრომელთა ნაწილს გავლილი აქვს ბავშვთა პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პრაქტიკული სასწავლო კურსი, ხოლო პერსონალის ნაწილს გავლილი აქვს „სიცოცხლის გადარჩენის ბაზისური ალგორითმის“ (BLS) ტრენინგი. ექსპერტთა მხრიდან გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“-შეიცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

##### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შინაგანაწესი. შინაგანაწესი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, პერსონალის მოტივაციისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, ხოლო მისი ნორმები შესაბამისობაშია მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები, შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურები, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის მექანიზმები, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, ასევე პერსონალის წახალისებისა და პროფესიული განვითარების საკითხები. პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული პროცესები იმართება აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აღმზრდელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, რომ დაწესებულების შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღმზრდელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობა, ასევე განსაზღვრულია ის საქმიანობა რასაც უნდა ასრულებდეს აღმზრდელი საკონტაქტო და არა საკონტაქტო საათებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N 16-01 დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესი სადაც გაწერილი კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები, რომელიც სრულად ეფუძნება ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპებს. დაწესებულებაში არსებული ვაკანტური პოზიციისთვის განაცხადი შემუშავდება სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პერსონალის დანიშვნა განხორციელდება პირდაპირი დანიშვნის გზით.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს დაწესებულებაში პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**.რეკომენდაცია**

**რჩევა**

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

#### **4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N 16-01 დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესი სადაც გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს მათი ადაპტაციის სისტემურ და ორგანიზებულ პროცესს. დოკუმენტის მიხედვით ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

- ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
- საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

- ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
  - მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;
  - უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.
- აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ ახალი თანამშრომლები ეფექტიანად ინტეგრირდნენ სამუშაო გარემოში. სწრაფად შეეჩვიონ ორგანიზაციულ კულტურას და სრულფასოვნად ჩაერთონ სამუშაო პროცესებში.
- აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

.....

#### რჩევა

.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ვლინდება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების გუნდურ ორგანიზებასა და სამუშაო ჯგუფების ეფექტურ გამოყენებაში. თანამშრომლობითი და გუნდურად მუშაობის პრინციპები დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუებითაც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

#### რეკომენდაცია

.....

#### რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N 16-01 დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესი სადაც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროების კვლევის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს მრავალმხრივი ასპექტების შეფასებას, მათ შორის:

- ა) უნარები;
  - ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
  - გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
  - დ) სამუშაო გარემო ;
  - ე) კარიერული განვითარება ;
  - ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
  - ზ) აღიარება და მოტივაცია;
  - თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
  - ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.
- პერსონალის საჭიროების მოკვლევისთვის დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ მეთოდებს:
- ა) წყვილების შედარების მეთოდი;
  - ბ) კითხვარი;
  - გ) მართვა მიზნების მიხედვით;
  - დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
  - ე) თვითშეფასება;
  - ვ) გასაუბრება;

ზ) სხვა.

აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებს ასევე გაწერილია აქვს პერსონალის შეფასების/საჭიროებების მოკვლევის ეტაპები, ესენია:

ა) დაგეგმვა;

ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საჭიროების კვლევის ჩატარებას და პერსონალის საქმიანობის შეფასებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**  
**რეკომენდაცია**

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## **2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, პერსონალის საჭიროების კვლევის განხორციელების შემდეგ, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დაწესებულებაში შემუშავდება პერსონალის განვითარების გეგმა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ადამიანური რესურსების მომზადება გადამზადება გაწერილი აქვს 2026-2027 წწ სამოქმედო გეგმაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**  
**რეკომენდაცია**

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N 16-01 დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესი სადაც გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ: ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. დაწესებულება ხელს შეუწყობს პერსონალის მხრიდან ინიციატივების დაფიქსირებას, რისთვისაც გამოიყენებს წახალისების ისეთ მექანიზმს როგორიცაა მადლობის გამოცხადება და სახელფასო დანამატი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

არეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი წესი დამტ. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N 16-01

2. დაწესებულების ორგანოგრამა დამტ. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 5 ნოემბრის ბრძანება N 11-01-ა

3. დაწესებულების შინაგანაწესი დამტ. შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 15 აგვისტოს ბრძანება N 02-01

4. შპა ბაგა ბავშვთა განვითარების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების თაობაზე შპს ბაგა ბავშვთა განვითარების დირექტორის ბრძანება N 27-01 26.01.2026
5. პერსონალის პირადი საქმე
6. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
7. ი/მ ანა ბუცხრიკიძესთან გაფორმებული მემორანდუმი
8. ინტერვიუს შედეგები

|                                              |                                                          |                                                 |                                         |
|----------------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| <b>შეფასება:</b>                             |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.1. პერსონალის მართვა და განვითარება</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>         | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 24 იანვრის ბრძანება N 23-01 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი. დოკუმენტში გაწერილია დაწესებულებაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითად პროცესებს მიეკუთვნება: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება და ოჯახთან და თემთან ურთიერთობა. ხოლო დამხმარე პროცესებს გაეკუთვნება ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა, ფინანსური რესურსების მართვა, სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა, ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა, სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს აღწერილი აქვს თითოეული პროცესი, პროცესის მფლობელი, პროცესის შემადგენელი ეტაპები, პროცესის მარეგულირებელი წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 24 იანვრის ბრძანება N 23-01 დამტკიცებულია დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებაში შენარჩუნდეს მიღწევები და ამავედროულად განისაზღვროს გეგმა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. დაწესებულება ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე მოახდენს რისკების იდენტიფიცირებას. გამოვლენილი რისკ ფაქტორების გათვალისწინებით კი შეადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას. დაწესებულებაში განხორციელდება თითოეული პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2026 წლის 25 იანვრის ბრძანება N 25-01 რითიც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს ბაგა ბალი ვარსკვლავების დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის ბრძანება N 19 დამტკიცებულია შპს ბაგა ბალი ვარსკვლავებში ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესში გაწერილია ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მექანიზმი, პერიოდულობა და ვადები, ჩარიცხვის ეტაპები, ბავშვის გადაყვანის, სარეზერვო სიების შემუშავების წესი, ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტის და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვას დაწესებულებაში დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

### 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შინაგანაწესში განსაზღვრულია აქვს იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი რასაც უნდა მოიცავდეს პერსონალის და ბავშვის პირადი საქმე. პერსონალის პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ დაწესებულება არ ახორციელებს პერსონალის პირადი საქმის წარმოებას

დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ დაწესებულებას შინაგანაწესში განსაზღვრულია აქვს იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი რომელიც უნდა იყოს განთავსებული პერსონალის პირად საქმეში, ესენია: პირადი განცხადება, ავტობიოგრაფია, შრომის წიგნაკი ან/და ცნობა სამუშაო ადგილიდან, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა, ნასამართლეობის ცნობა, ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის წესში განსაზღვრულია რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმის შემოწმების შედეგად დადგინა რომ არც ერთი პირის პირად საქმეში არ იყო ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ, ასევე ტექნიკური მენეჯერის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. რ.ა-ს პირად საქმეში კი წარმოდგენილი იყო მხოლოდ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სერთიფიკატი. ასევე ყველა პირის პირად საქმეში არ იყო ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმის წარმოება დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი წესების შესაბამისად და პერსონალის პირად საქმეში განათავსოს ყველა ის დოკუმენტი რაც შინაგანაწესით არის განსაზღვრული.

#### რჩევა

.....

.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას (იხ. წერილი 18.06.2026) წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით, 18.06.2026 – 18.06.2027 პერიოდში დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას მოქმედი მარეგულირებელი წესების შესაბამისად და პერსონალის პირად საქმეში შინაგანაწესით განსაზღვრული ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით მეტწილად და დაკმაყოფილებული.

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1 შპს ბაგა ბავშვთა განვითარების პროგრამის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის ბრძანება N 19
- 2 პერსონალის პირადი საქმე
- 3 დაწესებულების პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი დამტ. შპს ბაგა ბავშვთა განვითარების დირექტორის 2026 წლის 24 იანვრის ბრძანება N 23-01
- 4 შპს ბაგა ბავშვთა განვითარების დირექტორის 2026 წლის 25 იანვრის ბრძანება N 25-01 ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრასთან დაკავშირებით
- 5 დაწესებულების შინაგანაწესი დამტ. შპს ბაგა ბავშვთა განვითარების დირექტორის 2025 წლის 15 აგვისტოს ბრძანება N 02-01

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.2 პროცესების მართვა</b>         |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.3. მატერიალური რესურსი

##### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                      |                                               |                                                 |                                                    |
|--------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| შეფასება:                            |                                               |                                                 |                                                    |
| <b>4.3 მატერიალური რესურსი</b>       |                                               |                                                 |                                                    |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> |

#### 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

